

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლინგვისტურ კვლევათა ცენტრი

იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალ ბერძნული ლექსიკონი

რეზიუმე

აღნიშნულ სტატიაში წარმოდგენილია ენის შემსწავლელებსა და პროფესიონალურ მთარგმნელებზე გათვლილი ბილინგვური ლექსიკონი - *იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონი*. აღნიშნული ლექსიკონი შექმნილია "იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონის" პროექტის ფარგლებში. პროექტის შედეგების წარდგენის შემდეგ, განხილული იქნება ძირითადი მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება ლექსიკონის სტრუქტურა და მისი ძირითადი მახასიათებლები. კერძოდ, განხილული იქნება ლექსიკონის მაკრო-(სიტყვათა ჯგუფების საწყისი ლემებისა და მათი კომპონენტების წარმოქმნის მექანიზმები) და მიკრო-სტრუქტურები. ლექსიკონი მოიცავს იდიომურ გამოთქმათა 11801 ერთეულს.

შესავალი

ნებისმიერი ლექსიკონი წარმოადგენს მონაცემთა ბაზას, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ინფორმაციის შენახვა კონკრეტული ენობრივი ერთეულის, ჩვენ შემთხვევაში, იდიომური გამოთქმის შესახებ. შენახვის პროცესი უნდა იყოს წარმოდგენილი ისეთი გზით, რომ მომხმარებელს (კომპიუტერული პროგრამის შემთხვევაში) ან მკითხველს (ლექსიკონის გამოქვეყნებული ვერსიის შემთხვევაში) შეეძლოს წარმოდგენილი მასალის გამოყენება თავისი მიზნებისათვის. ნებისმიერი ლექსიკონის შექმნას პროცესს განსაზღვრული თანმიმდევრობა და ეტაპების არსებობა წარმოადგენს. ლექსიკონის შექმნას, როგორც წესი, წინ უძღვის: ერთეულების შერჩევა; ლემათა (ჩვენ შემთხვევაში, ამოსავალი იდიომების განსაზღვრა) ნუსხის შედგენა; სიტყვა-სტატიის ფორმის განსაზღვრა; შიდა-მითითებების განსაზღვრა; კორპუსის შედგენა; კონკორდანსის საშუალებით იდიომების გამოყენების შესაძლო ვარიანტების მოძიება და ა.შ.

მეთოდოლოგია

თანამედროვე კორპუსული ლექსიკოგრაფიის მიდგომების გათვალისწინებით (ატკინსი 2008, სინქლერი 1996, ოოი 1998), ლექსიკონის შედგენა ეფუძნება ქართული ტექსტების კორპუსს (386 ერთეული, თითო 40000 სიტყვა) და ბერძნულ ნაციონალურ კორპუსს (ΕΘΕΓ)¹. ასევე, მონაცემთა კატეგორიების გასამართად გამოვიყენეთ ISO-ს სტანდარტი (ISO 12620).

პროექტის მოკლე აღწერა

სტატიაში წარმოდგენილია ენის შემსწავლელებსა და პროფესიონალურ მთარგმნელებზე გათვლილი ბილინგვური ლექსიკონი - *იდიომური გამოთქმების ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონი*. აღნიშნული ლექსიკონი შექმნილია "იდიომური

¹ იხ. <http://hnc.ilsp.gr/find.asp>

გამოთქმების ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონის" პროექტის ფარგლებში¹. ლექსიკონი მოიცავს იდიომურ გამოთქმათა 11801 ერთეულს.

ნებისმიერი იდიომი არასტანდარტულ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს, იგი განიხილება, როგორც: "სიტყვათა ჯგუფი, რომელსაც კომპონენტთა ერთად გამოყენებისას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თითო სიტყვას, აღებულს ცალ-ცალკე"². მიუხედავად სირთულისა, იდიომური გამოთქმების თარგმნა უცხო ენაზე შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკების საშუალებით (შენაცვლება, მოდულაცია, ადაპტაცია და ა.შ.)

ცნობილია, რომ ბილინგვური ლექსიკონის შექმნა შესაძლებელია ან მთარგმნელობითი ან შედარებითი კორპუსის გამოყენებით. მთარგმნელობითი კორპუსი, როგორც წესი, აერთიანებს ნათარგმნ ტექსტებს (50% ორიგინალის ენაზე, 50% უცხო ენაზე). ჩვენ შემთხვევაში სავსე მთარგმნელობითი კორპუსის შექმნა გაჭირდა პარალელური ნათარგმნი ტექსტების სიმწირის გამო, შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ ბერძნული ლიტერატურის თანამედროვე ანთოლოგიაში (შამანიდი 2007) გამოყენებული ტექსტების ელექტრონული ვერსიების გამოყენება, რაც არ იქნებოდა საკმარისი. ამიტომაც, მივმართეთ შედარებითი კორპუსის გამოყენების შესაძლებლობას და გამოვიყენეთ ბერძნული ნაციონალური კორპუსი (EΘΕΓ) და AntConc-ის პროგრამაში შექმნილი ქართული ტექსტების კორპუსი, რომელიც მოიცავს 386 ერთეულს, თითო 40000 სიტყვის ოდენობით.

გარდა ამისა, შემუშავდა ლექსიკონის მაკრო-(სიტყვათა ჯგუფების საწყისი ლემებისა და მათი კომპონენტების წარმოქმნის მექანიზმი) და მიკრო სტრუქტურა მისი ძირითადი მახასიათებლებით.

დასკვნები

იმის გათვალისწინებით, რომ ლექსიკონის შექმნა დასრულებულია, მოხსენებაში წარმოდგენილია ლექსიკონის მაკრო და მიკროსტრუქტურები და განხილულია მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივა.

¹ აღნიშნული პროექტი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, გრანტი # Y-04-10. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

² "...a group of words which have a different meaning when used together from the one it would have if the meaning of each word were taken individually". Collins Cobuild Dictionary of Idioms, Harper Collins Publishers, 2000.

Modern Georgian – Modern Greek Dictionary of Idioms

Summary

In this paper we present the *Modern Georgian – Modern Greek Dictionary of Idioms*, a bilingual dictionary targeted at language learners and professional translators that has been compiled in the framework of a project for Young Scientists. After presenting the results of the project, we discuss the main methodological principles that underlie its construction and elaborate the main features of the dictionary. In particular, we report on the macrostructure (the organization of the headwords in word families and groups of derived words and compounds that highlights word production mechanisms) and the microstructure of the dictionary. The dictionary consists of 11801 entries of idioms.

Background (Introduction)

All dictionaries can be considered as a database. The purpose of such database is to store the vocabulary of a language and to provide additional information about concrete words (in our case about idiomatic units). Correct keeping should be represented in a way to allow user (in case of computer based dictionary software) and reader (in case of published dictionary) to extract the information they need. Dictionary compilation consists of certain sequence and different stages, including: selecting the units; defining a list of lemmas (in our case of idioms); determining a form of entries; defining cross-references; providing a corpus of written texts; selecting possible variants of idioms by means of concordance etc.

Methods

Following approaches of modern corpus based lexicography (Atkins 2008, Sinclair 1996, Ooi 1998 etc.), a compilation of dictionary is based on the corpus of Georgian Texts (386 units, each of 40000 words) and Hellenic National Corpus (EΘΕΓ)¹. Also, we have used ISO 12620 for the specification of data categories and management of a Data Category Registry for language resources.

Brief Description of the Project

In this paper we present the *Modern Georgian – Modern Greek Dictionary of Idioms*, a bilingual dictionary targeted at language learners and professional translators that has been compiled in the framework of a project for Young Scientists².

Any idiomatic expression is a non-standard lexical unit considered as: “... a group of words which have a different meaning when used together from the one it would have if the meaning of each word were taken individually”³. Translation of idioms from one language into another language can

¹ see <http://hnc.ilsp.gr/find.asp>

² This project was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation and by Grant No Y-04-10. Any idea in this publication belongs to the author and may not represent the opinion of the Foundation.

³ Collins, Collins Cobuild Dictionary of Idioms. Harper Collins Publishers, 1995.

be implemented by different techniques (transposition, modulation, adaptation etc.) applicable to a particular case.

It is well known that a bilingual dictionary can be compiled using a translation corpus or a comparable corpus. The translation corpus consists of original texts (50 per cent) and their translations (50 per cent). In our case, the use of translation corpus was complicated because of insufficient parallel texts in both languages; we have used only available parallel Georgian - Greek texts from Anthology of Modern Greek Poetry (Shamanidi 2007). Thus, we have decided to use the comparable corpus consisting of two individual language corpora, especially, of Greek National Corpus and Corpus of Georgian Texts created in AntConc (386 units each 40000 words).

In particular, we report on the macrostructure (the organization of the headwords in word families and groups of derived words and compounds that highlights word production mechanisms) and the microstructure of the dictionary.

Conclusions

Taking into account that we have finished compilation of this dictionary, we present the macrostructure and microstructure of the dictionary and describe the further stages of its development.

შიდაბითიობა

B.T. Sue Atkins (2008). *The Oxford Guide to Practical Lexicography*. New York: Oxford University Press.

J. M. Sinclair (1996). Corpus to Corpus: A Study of Translation Equivalence. *International Journal of Lexicography* , 171-178.

V.B. Ooi (1998). *Computer Corpus Lexicography*. Edinburgh: Edinburgh University Press.

ს. შამანიდი (2007). *თანამედროვე ბერძნული პოეზიის ანთოლოგია*. თბილისი: ლოგოსი.

ლექსიკოგრაფიული წყაროები

A Comprehensive Georgian-English Dictionary. (2006). Garnett Press.

D.N. Stavropoulos, A. H. (1998). *Oxford English-Greek Learner's Dictionary*. Oxford University Press.

Αθανάσιος, Θ. (1988). *Λεξικό ξενόφερτων λέξεων στην ελληνική γλώσσα υπό ΣΚΟΥΡΤΗΣ*. Αθήνα: Πύρινος Κόσμος.

Βλαχόπουλος, Σ. (2007). *Λεξικό των ιδιωτισμών της νέας ελληνικής*. Κλειδάριθμος.

Γιαννουλέλλης, Γ. (1982). *Νεοελληνικές ιδιωματικές λέξεις δάνειες από ξένες γλώσσες*. Αθήνα : Κείμενα.

Δημητρίου, Α. (1995). *Λεξικό νεοελληνισμών: Ιδιωτισμοί, στερεότυπες μεταφορές και παρομοιώσεις, λέξεις και φράσεις από την καθαρεύουσα*. . Αθήνα: Γρηγόρη .

Κριαράς, Ε. (1995). *Νέο ελληνικό λεξικό της σύγχρονης δημοτικής γλώσσας, γραπτής και προφορικής*. Αθήνα: Εκδοτική Αθηνών.

Λεξικό ομόηχων λέξεων και τονικών παρωνύμων: απο το Ομηρο μέχρι σήμερα υπό ΠΑΠΑΛΕΞΗΣ. (1988). Αθήνα : Δημόκριτος .

Λεξικό των Συνωνύμων της Νεοελληνικής. (1970). Αθήνα : Αθήνα .

Μαρκαντωνάτος, Γ. (Αθήνα). *Λεξικό Αρχαίων, βυζαντινών και λογίων φράσεων της Νέας Ελληνικής*. 1992: Αθήνα.

Μπαμπινιώτης, Γ. (1998). *Λεξικό της Νέας Ελληνικής γλώσσας, Κέντρο λεξικολογίας*. Αθήνα: Αθήνα.

ა. ონიანი (1966). *ქართული იდიომები*. თბილისი: ნაკადული.

ა. სახოკია (1979). *ქართული ხატოვანი სიტყვათქმანი*. თბილისი: მერანი.

არნ. ჩიქობავა (1950-1964; 2008). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.